№ 59 29 მაისი, კვირა 1866–1877 29 მაისი, კვირა № 59

რედაქცია

ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის სტამბაში, ამატუნის სახლებში. —

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова. —

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულისა სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქონზე — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაახწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

რედაქციისაგან

ისეთი დრო არის ახლა, რო დესაც ყველა ქართველი მოუთმენელად მოელის თუ ბრძოლის ველიდან და თუ სხვა ქვეყნებიდამ ახალ, ცხელ-ცხელ ამბებსა.

ევროპაში შესამჩნევი და ყველასათვის საყურადღებო პოლიტიკური მოძრაობაა; აქაოთკენ, ჩვენ გვერდით, ჩვენ ცხვირის წინ რუსეთსა და ოსმალეთს შუა გაცხარებული ბრძოლაა; ამ ბრძოლაში ჩვენი მიწის შვილებიც ილებენ მონაწილეობას; ეს პოლიტიკური მოძრაობა და ბრძოლის კარგათ ან ავად გათავება, უეჭველია, სხვებზე უფრო მომეტებულად თუ არა, ნაკლებად არ შეგვეხება ჩვენ.

ამით აიხსნება ის ცხოველი ინტერესი და ის მოუთმენელი ცნობის მოყვარეობა, რომელიც აღძრულია ამ ჟამად ჩვენს საზოგადოებაში.

და აი, ამ ანგარიშიერი ცნობისმოყვარეობისა და ინტერესის დასაკმაყოფილებელად, ამ ივნისის თვის პირველი რიცხვიდამ აზრათ გვაქვს ჩვენი გაზეთი ყოველ დღე გამოვცეთ და ამნაირად გამოვსცემთ, სანამ ომი არ გათავდება.

მაგრამ, რადგან მატერიალურისა და ლიტერატურულის მხრით ჩვენი გეჯდვის საქმე ჯერ-ჯერობით მარჯვედ ვერა დგას ფეხზე, აის გამო ჩვენ იძულებული ვართ, ადრინდელი სიდიდე გაზეთისა ცოტათი დავაპატარავოთ. სხვებრ, როგორც ფასი გაზეთისა, აგრეთვე იმის პროგრამმა ისევ ძველი დარჩება. მხოლოთ, რადგან ახლანდელი დროება და პოლიტიკური გარემოება ამას მოითხოვს, უმთავრესი ყურადღება გაზეთში ტელეგრამმებსა და ოსისა და პოლიტიკურ ამბებს ეძნება მინიჭებული.

საუბედუროთ, როგორც არაერთხელ გამოგვიცხადებია ჩვენ, ფოჩტის საქმე ისე ცუდათ არის ჩვენში გამართული, რომ ზოგჯერთ ჩვენი ქვეყნის მხრებისათვის ამ უკველ დღე გაზეთის გამოსვლას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ეძნება, რადგან ამ მხრებში ფოჩტა კვირაში მხოლოთ ერთხელ ან ორჯელ მიდის ხოლმე.

მაგიერად თფილისისათვის, გორისათვის, ჟუთაისისა და საზოგადოთ სხვა ყველა ქალაქებისა და სოფლებისათვის, რომელნიც ფოთი-თფილისის რკინის გზის ტრაქტზე მდებარეობენ, ყოველ დღე გაზეთის გამოსვლას დიდი მნიშვნელობა ეძნება, რადგან ყველა ამ ადგილებში ხელის-მოწერლებს გაზეთი იმ დღესვე მიუვათ, რა დღესაც ის ქალაქში დაიბეჭდება.

ჩვენს კორრესპონდენტებსა და შემთხვევით თანამშრომელებს უმორჩილესად ვთხოვთ, რომ ერთის მხრით ეს გაზეთის სივრცე და მეორეს მხრით ომისა და პოლიტიკურ ამბებისადმი ჩვენში აღძრული მომეტებული ინტერესი მიიღონ მხედველობაში და ვრცელ, დიდ კორრესპონდენციებსა და სტატიებს ნუ იგზავნებიან გაზეთში და საბეჭდათ.

უმორჩილესად ვთხოვთ ყველა ჩვენ ხელის-მოწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ სრულად არ შემოუტანიათ. გამოგზავნონ რედაქციაში ვინც ივნისის განმავალობაში მთელი წლის ფულს არ წარმოადგენს, 1 ივლისიდამ გაზეთი აღარ გაეგზავნება.

ამ თხოვნას ვუმეორებთ აგრეთვე იმ ჩვენს აგენტებსაც, რომელთაც რედაქციასთან თავიანთ ხელის-მოწერლების ანგარიში ჯერ კიდევ გასწორებული არა აქვთ.

ტელეგრამმები

ზარა, 27 მაისს. ჩერნოგორიელებმა დუკთან წააგეს ბრძოლა და ძლიერ დიდი ზარალი მიიღეს ოსმალოს ჯარისაგან. საფიქრებელია, რომ ნიკშიცი განთავისუფლებული იქნება ბლოკადისაგან და ოსმალოებს ლონის-ძიება მიეცემათ, რომ სურსათი შეიტანონ ამ ციხეში.

ვლოეშტი, 26 მაისს. ოსმალოს ჯარმა კალაფატთან გამოსვლა (დესანტი) განიზრახა, მაგრამ არ გამოუშვეს.

სტამბოლი, 27 მაისს. ოსმალოს ჯარმა რამდენიმეჯერ დაამარცხა ჩერნოგორიელები.

ვლოეშტი, 25 მაისს. ლუნაის დაეოლებლივ რამდენსაც ალაკას ზარბაზნების სროლაა.

ცეტინიე, 25 მაისს მანიეტთან ჩერნოგორიელებსა და ოსმალოებს შუა ბრძოლა; ოსმალოები უკან იხევენ, იმათის მხრით 500 კაცია მოკლული. ბრძოლა ჯერ კიდევ არ გათავებულა.

ალექსანდრაპოლი, 26 მაისს. არტაანიდამ გამოსულმა პოლკოვნიკის კომაროვის ატრიადმა უბრძოლველად დაიპყრო ჰენაკი და ოლთა. ლენერალ ტერ-ლუკასოვის ატრიადმა აიღო, 23-ს, ეარა-კილისი; ოსმალოს ჯარი და მცხოვრებლები ადრევე გავიდნენ ამ ქალაქიდან. ლედა არ გაჰყოლია უფრო იმიტომ, რომ საქრმო ჰყოლია, თუმცა ძალიან ღარიბი, ისე რომ იმდენი საშუალებაც არა მოეძებოდათ, ქორწინობა გადეხადათ; მაგრამ ისე ტკბილათ უცხოვრნიათ რამდენიმე წელიწადი, რო დედა ჩემს სრულებით დავიწყებია, რომ არ არის ჯვარ-დაწერილი.

„მეც სწორეთ იმ დროს გავჩენილვარ. ერთ საღამოს მამა ჩემი შესულა სახლში ძრიელ დასისხლიანებული. ერთს ამხანაგს ჩხუბის დროს დაეხანჯლა. მით უფრო საკვირველი იყო ეს, რომ მამა ჩემი წყნარი ხასიათისა-ყოფილი. ალბათ ძალიან გაუჭირებიათ საქმე. ლედა კარგათაც უვლიდა თურმე, აღთქმაც და დო, მარგამ ვერაფერი ვერ უშველა: ორ კვირაზე საწყალი გადაიცვალა.

„რა ექნა საწყალ უპატრონო ქვრივ! ჭირს დაკარგვა გაეძლო, თუ ულუკმა-პურობა? ჩვილით უნდოდა იმ კაცისაგან ფულის გამოტანა, მაგრამ უთხრეს, თუ ჯვარწერობის ქაღალდი არ გიჩვენოს, ვერაფერს ვერ გახდებიო. ლიდხანს

ფელეტონი

ნამდვილი ამბავი

ერთ საღამოს ჩვეულებრივ გავსწერე სასეირნოთ; სულ არ გავიარე რამდენიმე ნაბიჯი, რო დავინახე ერთი ჩემი ნაცნობი, დიდათ ჩაფიქრებული მიეჩქარებოდა საითკენაც და ძანამდისინ არ გადუდგა გზაზე არც კი მნახა.

— რათა ხარ აგრე ნაღვლიანი, ან საით მიეჩქარები? ვკითხე მას. პასუხის მაგიერათ მან ჩამავლო ხელი და მითხრა:

„წამო, გიჩვენო — როგორ კვდებიან შიმშილით.“

ლიდხანს მივდიოდით ჩუმათ. ბოლოს ვერ მოვითმინე, დაუწყე გამოკითხვა, მაგრამ ისე შეწუხებული იყო, რო პირში სიტყვაც არ მოსდიოდა; მითხრა ძარტო, რო ერთი ხუთი შვილის დედა კვდებაო; მეც დიდი ხანი არ არის, რაც შევიტყე და სანახავათ მივდივარ ხოლმეო.

ძალე შეუდგენით იმ ეიწრო ქუჩებს, საცა ი შვიათად ნახამთ გავლილ ეკიპაჟს, სადაც ისეთი მყუდროობაა დილით საღამოამდინ, რო გეგონებათ აქაურობა აკლებულიაო. საღამოს კი სწორედ სანახავია ეს ქუჩები: ქოხებიდან გამოძვრებიან პატარა ბიჭები და შუა გზაზე წვივილ-კივილით კიჭაობენ; დედაკაცებიც ხან ერთ მეზობელთან, ხან მეორესთან წინდის ქოვით ან ყმაწვილით ხელში შედიან სალაპარაკოთ.

ბოლოს ჩემი ნაცნობი შევიდა ერთს ეზოში და იქიდან ერთ ქოხში. მეც უკან მივდევდი მარდად, მაგრამ მერძე კი შევკრთი: ეზოს კუთხიდან მამესმა ბებრის ბუდღუნი:

— აი კეთილნი სულნი კიდევ მოვიდნენ.

— ბევრსაც კი უშველიანო ახლაო, თქვა მწარე ღიმილით ერთმა ჩაყვითლებულმა ყმაწვილმა ქალმა, რომელსაც საკერავი ხელში ეჭირა.

— ნუ სცოდავ, შვილო, უპასუხა ბებერმა, მაგისთვინაც ღმერთს უდა ძადლობა უთხრა.

შევყევ მეც ქოხში. ერთი დედაკაცი, ესე ოც-და-ათი წლისა, გადაჭლერქებული, გახვეული ძონძებში იწვა ტახტზე; პატარა ყმაწვილები დაფანტულნი იყვნენ ამ ქოხში აქეთ-იქით. მანამდისინ ჩემი ამხანაგი ჰკითხამდა წამალზე და ექიმზე, მე დაუწყე დათვალიერება ოთახსა. ბევრი თითქმის ნახევრათ ეხურა ამ ქოხს, ბინდისას აქ კიდევ კარგა სინათლე იყო უპერობის გამო, შესავალი ისე ფართო, იყო, რო სწორეთ ამ ოთახს სამი კედლის მეტი არა ჰქონდა. მამაგონდა ის დიდი წვიმა, რომელიც ამ ორი კვირის წინათ იყო; მამაგონდა ზამთარში სიცივე, თოვლი და ქარიშხალი.

მიველ ახლო, მინდოდა ნუგეში მეცა და ისე ნაღვლიანი გავჩერდი, რო ავათმყოფმა შემამჩნია და მითხრა:

— ალბათ ჩემი ბედი ეს იყო! ლედაც უბედური მყვანდა და შვილებიც, რასაკვირველია, უბედურნი იქნებიან! მერმე მიუბრუნდა ის ერთ აქ მყოფ დედაკაცს და ჰკითხა:

— ჩემი ქმარი არ მოსულა?

— ბუშინ ღამ მეზობელთან მოვიდა ნა ვამი, შეარცხვინეს და გაადგეს. იმის აქეთია აღარა სჩანს, — უპასუხა დედაკაცმა. მინდოდა შემეტყო ამის ამბები და თან ვერ ვბედამდი გამოკითხვას. არ ვიცი — შემამჩნია, თუ ხედამდა ის თავს ბოლოს თითონვე დაიწყო ამბობა:

„ლედა ჩემი ყოფილა ახალგაზდა ქალი, როცა მია მამის ბატონს დაუპირებია სრულებით გადასახლება ქალაქიდან. ლედა არ გაჰყოლია უფრო იმიტომ, რომ საქრმო ჰყოლია, თუმცა ძალიან ღარიბი, ისე რომ იმდენი საშუალებაც არა მოეძებოდათ, ქორწინობა გადეხადათ; მაგრამ ისე ტკბილათ უცხოვრნიათ რამდენიმე წელიწადი, რო ლედა ჩემს სრულებით დავიწყებია, რომ არ არის ჯვარ-დაწერილი.

ქებიდამ. მცხოვრებლები სიამოვნებით მიეგებნენ ჯარს.

ს.-პეტერბურღი, 25 მაისს. დღეს, საღამოს 8 საათზე, სელმწიფე იმპერატორი მშვიდობით მიბრძანდა პლოეშტში, სადაც იმეოფება დუნაის არმიის უმთავრესი ბანაკი. გზაზე ხალხი აღტაცებით ეგებებოდა სელმწიფეს, რომელმასაც მადლობა უთხრა აფიცრებსა და სალდათებს მხნეობისათვის.

ს.-პეტერბურღი, 26 მაისს. გამოცემულია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც 21-000 ახალი ჯარი უნდა მოიკრიბოს კიდევ რუსეთში.

სტამბოლი, 26 მაისს (7 იუნისს). ოსმალეთის ჯარები თანდა-თან წინ იწევენ ჩერნოგორიაში.

ომის ამბები

ამ ჟამად ალექსანდრაპოლის კორპუსის მთავარ-სარდლის მთელი ყურადღება ყარსზედ არის მიქცეული, რომელსაც, როგორც ამბობენ, უკვე გარს შემოერტყა ჩვენი ჯარიო. ქალაქში ლაპარაკობენ აგრეთვე, რომ, მიბრძანდება თუ არა დ. მ. კავკასიის ნამესტნიკი მომქმედ არმიაში, იმ წამსვე დაუწყებენ ყარსს ზარბაზნების დაშენასაო და ბევრი-ბევრი ერთის კვირის განმავლობაში აიღებენო.

—

უცხო ქვეყნის გაზეთებში იწერებიან, რომ ყარსში იმდენი სურსათი არისპოგროვილიო, რომ ერთი წლის განმავლობაში ეყოფა იქ დამწყვდეულ ჯარსა და მცხოვრებლებსაო. რაიცა შეეხება რუსების ყუმბარებს, ამის მაინც-და-მაინც ოსმალოს ჯარს არ ეშინიანო, რადგან ყარსი ძალიან გამაგრებული არისო და ყუმბარები იმას მაგდენათ ვერას დააკლებსო.

არზრუმის უფრო ეშინიან ოსმალოებსა, რადგან ეს ქალაქი უფრო სუსტად არის გამაგრებული და სურსათიც მარტო სამის თვისა აქვთო; მაგრამ, ამბობენ, სტამბოლიდამ აგზავნიან ახლა ბევრ საჭმელ-სასმელსაო.

—

ერთის ნემეცურის გაზეთიდამ „მოსკოვის უწყებებში“ შემდეგი ამბავია გადმობეჭდილი:

„იმ 8,000 ჩერქესს გარდა, რომელიც ტრაპიზონიდამ წავიდა ამას წინათ სოხუმისაკენ, ოსმალოს მართებლობამ კიდევ 14,000 კაცი თავის ზარბაზნებითა და 50,000 ახალი სისტემის თოფით გამოგზავნა სტამბოლიდამ. ერთი ნაწილი ამ ჯარისა აგრეთვე სოხუმთან უნდა გამოვიდეს ხმელეთზე და მეორე ანაპასთან. ზემოხსენებული 50,000 თოფი კავკასიის მაჰმადიანებისათვის დასარიგებელად იგზავნება.“

—

ოსმალოებისაგან სოხუმის აღების თაობაზე, ერთს რუსულ გაზეთში („ნაშ ვეკ) დაბეჭდილია შემდეგი სტრიქონები:

„ორი გარემოებაა გაუგებელი: ჩვენმა ჯარებმა რომ ასე უეცრად მიატოვეს სოხუმი, იმიტომ აღსდგნენ აქაური მთიულები (აფხაზები), თუ ჯარებმა იმიტომ მიატოვეს სოხუმის მაზრა, რომ თ. შარვაშიძეებმა უღალატეს რუსის ჯარსა და ააჯანყეს ადგილობრივი მცხოვრებლები?

„ჩვენი ჰაზრი ეს არის, რომ ჯარი იძულებული იყო დაეთმო მტრისთვის სუხუმი და იმის მაზრა მხოლოთ იმის გამო, რომ თ. შარვაშიძემ ააჯანყა აბხაზები და გადაუდგა რუსის ჯარს“.

—

ერთი ნემეცური გაზეთი გვაცნობებს, რომ რუმინიას არმიის მომეტებული ნაწილი დუნაის ნაპირას მდებარე ციხე-ქალაქის პალიფატში არის დაბანაკებულიო.

—

რუსის გაზეთებში შემდეგი დეპეშებია დაბეჭდილი:

ზ ა ი მ ი, 19 მაისს. ყარსში სოლანლოღის ატრიალის იმედი აქვთ. ღენერალი დეველი თავის ჯარით ყარსის ახლო-მახლო ადგილებსა და სიმაგრეებს ათვალიერებს.

პ ა რ ი ჟ ი, 15 მაისს. ყარსის ციხე რუსების ჯარისგან სრულებით გარშემორტყმულია. თვითონ ციხეს რუსებმა ზარბაზნების სროლა დაუწყეს. ამ დღეებში იერიშით მისვლას აპირებენ.

თ ფ ი ლ ი ს ი, 19 მაისს. ბუშინ ღენერალმა აკლობჟიომ აიღო ჟობულეთი და 600 კაცი დაატყვევა.

—

ამბობენ, რომ ინგლისი ბოსნიის ერთ ნაწილის დათმობას დაჰპირდა სერბიას, ოღონდ ომში ნუ გავრევიო.

საქართველო

დღიური

*** „კავკაზში“ გამოცხადებულია დ. მ. კავკასიის ნამესტნიკის ბრძანება, რომლის ძალითაც ღენერალ-ადიუტანტი თ. სვიატოპოლკ-მირსკი დაინიშნება კავკასიის სამხედრო მაზრის უფროსად არმიის მთავარ-სარდლის თანამდებობის აღმასრულებელად, რადგან თვითონ მთავარი სარდალი აზიის ოსმალეთში წაბრძანდა მომქმედ არმიაში.

*** ამავე ოფიციალურს გაზეთში დაბეჭდილია მმართებლობის განკარგულება, რომ, რადგან ომიანობის გამო, შაი ზღვის ნაპირა მცხოვრებთ (ოზურგეთის, ზუგდიდის და განსაკუთრებით სოხუმის მაზრის მცხოვრებთ) გაძნელებული აქვთ ახლა ამ მაზრებში ვაჭრობა, ამის გამო უფლება ეძლევათ, რომ კავკასიის სხვა მხარეებში ივაჭრონ და ამისათვის იმათ ახალი სავაჭრო ბილეთი და ვაჭრობის გადასახადი არ გადახდებათო.

*** ბორჯომიდამ გვატყობინებენ, რომ ჩვენს მცხოვრებლებს სრულებით არაურის შიში არა აქვთ მტრისაო და თითქმის ყველა აგარები (დაჩები) ჩვენს ქალაქში უკვე დაჭერილიაო. ამ გვარიევე სანუგეშო ამბები აბასთუმნიდამაც მოგვდის.

*** ჭუთაისიდამ გვწერენ, რომ აქაც კონაღამ იეფიერ ამბავი არ მოხდა, როგორც ამას წინათ სურამში მოხდაო: ერთი ვიღაც გლეხი შევარდნილა ურიების სალოცავში პოლიციის დესიატნიკით, დაუწყია ყვირილი, ერთი ამბავი დაუწყეია, რომ შვილი დამეკარგა, უეჭველად თქვენ წაიყვანეთ სისხლისთვისაო და ამწამ დამიბრუნეთო. სალოცავში ერთი ხმაურობა და ვაი-ვაგლახი მომხდარა; პოლიციისათვის შეუტყობინებიათ ეს ამბავი და ბოლოს ყმაწვილი აღმოჩენილა: ქუჩაში თამაშობდა თურმე სხვა ბიჭებთან.

ამბობენ, რომ ამ საგნის თაობაზე, ადგილობრივი ურიების ჩივილის გამო, გამოძიება არის დანიშნულიო. კარგი იქნება, საუუძვლიანი გამოძიება მოახდინონ და დაუმტკიცონ ხალხს, რომ ეს ქრისტიანის სისხლის საჭიროება ცრუ და სრულებით უსაფუძვლო რწმუნებაა ჩვენს ხალხში გავრცელებული.

*** ჩვენ მივიღეთ ახალქალაქიდამ ერთი წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, შემდეგ ამბავს გვაცნობებენ:

„პარტაანიდამ მოსულებმა მითხრეს, რომ ეს ქალაქი ამჟამად არაფერს საინტერესოს წარმოადგენსო, სულ დაცლილია ხალხითაო და მხოლოთ რამდენიმე რუსის ცოტა ყარაულად დგას იქაო...

„თან და-თან ბევრი სიმდმდრე ჩნდება აქ იქიდგან აქაურებისაგან მოტანილი; მაგრამ ვინც ეს დარბევა მოახდინა, ან დანარბევი იყიდა, უხიფათოთ ვერ გადარჩენენ: რამდენიმე კაცი დაჭერილია... იმედი კი აქვთ, იქნება გამოუშვან, რადგანაც ესენი მეომარნი არ იყვნენ...“

*** ხვალ, ორშაბათს, ქალაქის რჩევას, სხვათა შორის, შემდეგ უფრო საყურადღებო საგნებზე ექნება მოლაპარაკება: ა) ახალ თეატრის შენობისათვის ადგილის შეძენა; ბ) ბამგეობის მოხსენება ქალაქის საავათმყოფოსთან რომ პოროშია, იმის გაუმჯობესობაზედ და არენდის ვადის გაგრძელებაზედ, გ) მოხსენება ბამგეობისა იმის შესახებ, რომ მოისპოს ქალაქის წრეში მყოფი მყოფი სასაფლაოები და ქალაქს გარეთ გაიმართოს, დ) მოხსენება ბამგეო-

---

ნაღელობდა და ბოლოს და ბოლოს სული მიაბარა ღმერთსა.

„ორმეტი წლისა დავრჩი ობლათ, ხან ერთ მეზობელთან ვიყავ ხოლმე და ხან შორ-ნათესავთან; თუ ვასიამოვნებდი, კარგათაც მინახამდნენ, ისე რო ცოტა კერვაც და ჩულქის ქსოვაც კი ვისწავლე.

„ჩვიდმეტი წლამდინ როგორც იყო გავატარე. სუყველანი მირჩევდნენ, პატრონი იშოვეო. ამ დროს გამომჩინდა ერთი დალაქი, რომელსაც უნდოდა ჩემი შერთვა. თუმცა მაშინვე უყვარდა ღვინის სმა, მაგრამ მეუბნებოდნენ, ყოჩაღიაო, ულუკმა-პურობთ არ გაგიშვებსო.

„აქამდინ არ დამვიწყებია-რა სიამოვნებით გავატარეთ ქორწილის შემდეგ ერთი წელიწადი. თუმც არ იშლიდა ღვინის სმას, მაგრამ ისე იშვიათად, რო არაფრად მიმაჩნდა. მეორე წელიწადს ყმაწვილი შესანახავი გამიხდა; ამ დროს ჩემმა ქმარმა ალაგიც დაჭარგა ერთ ჩხუბის შემდეგ და შეუდგა სიმთვრალეს. მე დავიწყე კერვა მუშტრისთვის; ისე კაი კერვაც არ ვიცოდი, რომ ღირსეული ფასი ამეღო; ან მუშტარს სად ვიშოვიდი? ასე რო ორ დღეში აბაზზე მეტს ვერც კი ვიგებდი და ამის ნახევარსაც ქმარი მართმევდა. მუშტრისგან რომ ფული მომქონდა, კეტით დამხვდებოდა ჩემი ქმარი და როგორ შემეძლო, რო იმისთვის არ მიმეცა ნახევარი მაინც. დღე და ღამ თვალებს ვიწყლებდი, შვილები მემატებოდნენ და მათი გაძღომა ვერა გზით ვერ მამეხერხებინა. ვიცოდი, რო დიდხანს ვერ გავსწევ. ჩემ ჩვილზე ნაცნობებმა მირჩიეს ქმარი გაუშვიო. ამაზე ვკითხე ერთ გამოცდილ კაცს, მაგრამ იმან იმედი გადმიწყვიტა: შენისთანები ცდილობენო, ფულებსაც ხარჯავენო და ვერაფერი კი მოუხერხებიათო!

„სადღა მექნებოდა ქმრის სიყვარული ან პატივისცემა? ის მალ-მალ ილებდა ჯოხს თავისუფლების დასაცველად. რა გავაგრძელო? საკერავით რო ვერ ავზდიოდი, დავიწყე ყმაწვილების აყვანა, ისე რო ერთ ძუძუთი ვზდიდი, ჩემ ყმაწვილის გარდა, კიდევ სხვებსაც. მაგრამ ბევრჯელ საზრდოს ვერ ვშოულობდი და მშიერი ვიყავი ხოლმე.

„არ დაგიმალამთ ამასაც, დაიწყო უფრო დაბალის ხმით საცოდავმა დედაკაცმა, ერთხელ შიმშილმა ისე გამიჭირა საქმე, რო წაველ საგლახაკოთ. შვილებისთვინ რას არ ვიქმოდი? ღლითი კი მრცხვენოდა და ერთხელ ბინდისას გავსწიე დიდი ქუჩისკენ, საცა ბევრი ხალხი ირეოდა. მაღსოვს მარტო, რო ხელგაშვერილი რაღაცას ვბუტბუტობდი ერთმა გამვლელმა ოთხი გროში ჩამიგდო; ამან უფრო იმედი მომცა და რო დავინახე ერთი ხნიანი, ჭაღარა კაცი, უფრო მარდათ ხელი გაუშვირე და უთხარი: „შვილები არ დაგეხოცოს, შიმშილით ვკვდები!“ —წამო ჩემ სახლში, მითხრა პასუხათ, პურსაც გაჭმევო და ჩაგაცმევ კიდევაცაო,—და ისე სხვანაირათ შემამხედა ამ ბებერმა, რო სულ სირბილით მოველ შინ; მეგონა კიდევ უკან მამდევს. ბევრიც ვიტირე, მაგრამ რას უშველიდი, ნეტავი ფეხი მამეტეხნა და კი არ წავსულიყავ!

„ესე გავატარე თითქმის ათი წელიწადი. ჩემმა მაგარმა ჯანმა ვეღარ აიტანა შიმშილთან სიცივეც. ამ ზამთარს ძალიან ავათ გავხდი ანთებითა და იმის აქეთია ვერ გამოვდეგი. ეხლა მგონი ბოლოც მალე მამეღოს.“

ამის თქმის შემდეგ საწყალი დიდხანს დაჩუმებული იყო და ბოლოს მწარე ღიმილით მიგვახედა ერთ თაროსკენ, საცა თეფშებით სამსე საჭმელი იყო:

— შიმშილით მადაც შემეკრა, ეხლა მოუტანიათ, როცა პირში გემო არა მაქვს!“

დაჩუმდა, მაგრამ სახეზე ეტყობოდა, რომ ბევრი მწარე დღეები მოაგონდა. პატარახანს უკან ამოხვრით დაიძახა: „შვილებო, თქვენც უბედურები იქნებით?“

მალე თვალები დახუჭა და დაეძინა. ჩემ ამხანაგმა ჩაბარა ავათმყოფი მეზობლის დედაკაცს, რომელსაც უნდა ეთევნა ღამე და ნელნელა გამოვედით ამ ქოხიდან.

— აღარაფერი ეშველება? ვკითხე ამღვრეული გულით, როცა ქუჩაში გამოვედით.

არა, მიპასუხა იმან, დღეს ექიმმა მითხრა: ფილტვები გაფუჭებული აქვსო, ამ ორ დღეზე გადიცვლებაო ეტყობა მაგარი აგებულობა ჰქონია, თორემ ამდენ ხანსაც ვერ გასძლებდაო.

ტ. თ.

თფილისი

ბისა ეკიპაჟებისა და პავოზკების გადასახადის იჯარით გაცემაზედ.

ამ სიის დარიგებისათანავე, ქალაქის თავმა დაურიგა აგრეთვე ყველა ქალაქის ხმოვანთ წიგნი, რომელშიაც ის ერთხელ კიდევ სთხოვს ამათ, რომ უფრო რიგიანად აასრულონ თავიანთი მოვალეობა, ნუ აკლდებიან რჩევის სხდომებს და ამის გამო ნუ აბრკოლებენ ქალაქის საქმეებს.

*** ბუშინ, შაბათს, ერთად მივიღეთ ჩვენ სამი ფოჩტა რუსეთისა და სამზღვარ გარეთიდამ.

*** რუსიდამ (ქართლიდამ) მივიღეთ ჩვენ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდათ:

„თქვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოხსენებული, რომ ს. რუსის ბანკი დაამტკიცა ფინანსთ მინისტრმა. ეხლა ამ საგნისათვის ჩვენს სოფელში ფულსა ჰკრეფენ.

„4-ს მაისს ამორჩევა იყო და კენჭის ყრა ბანკის გამგეობისა. მაგრამ მთელი გლეხ-კაცობა უკმაყოფილოთ დარჩა, რადგანაც ვისაც ბანკი ჩაბარეს, ის არ უნდოდათ; ამბობენ, დ. ძრიელ უხასიათო კაცი თურმეა, და ამის გამოც გლეხები დიდ უარზე იყვნენ დ. ამორჩევაზედ; ასე ამბობდნენ, დ. და ზოგიერთ აზნაურებს კუდი-კუდსა აქვთ გადაბმული და თავიანთი დამწვარი თამასუქები რომ ჩაგვიდონ კასსაში, რაღა ვქნათო? ერთმა იქ მყოფმა ყმაწვილმა თავისი მელური შეკვლა-გასვლით თითქვის ძალაუბით მოაწერინა გლეხებს ხელი; ეს ყმაწვილიც გაცხარებული უკრო იმისთვის დარჩოდა, რომ დ. თუ ბანკის მმართველად არ ამორჩიეს, ვაი თუ მეც მწერლათ აღარ დამაყენონ და დავკარგო წელიწადში თერთმეტიოდე თუმანი.

„აქაური გლეხები სჩივიან, რომ მაღაზიაცა ჰქონიათ პურისა, მაგრამ, რაკი აზნაურები გაერიენ, სულ იმათ წაიღესო და ჩვენ ხშირად ვალითა ვყიდულობთ პურსაო“.

ორი სასწავლებელი *)

(„დროების“ მე-36 და 37 ნომერში დაბეჭდილს „მასწავლებლის წერილის“ გამოისობით)

(ბაგრძელება)

ახლა გადავიდეთ მეორე პედაგოგიის მოთხოვნილებაზე. როგორც ზემოთა ვსთქვი, ეს მეორე პედაგოგიის მოთხოვნილება გვაუწყებს: 1) რომ ჯერ დაახლოებულ საგნების შესწავლას შეუდგეთ და 2) ადვილიდამ, მარტივიდამ უფრო ძნელზე, რთულზე გადავიდეთ. ვთქვათ ისიც, რომ ამ მეორე პედაგოგიის მხრიდამაც დაკმაყოფილებულია ეს შკოლა, თუ როგორ—ეხლავე დავინახავთ.

ამ შკოლას კარგათ ესმის, რომ ბავშვისათვის სამშობლო ენაზე უახლოესი და უადვილესი არაფერი არ იქნება და ამიტომაც ყველა სწავლას, რომელიც მას ვალათ ადევს გადასცეს თავის მოწაფეებს, ის გარდაჰსცემს ამ ენაზე. ღღეს ორი წელიწადია ამ შკოლის არსებობისა და როგორ ჰსწერენ ყმაწვილები თავისუფლათ და გადმოწერვით, როგორ კითხულობენ, როგორ გადმოჰცემენ წაკითხულს წიგნში, როგორ გებაასებიან რომელსამე სტატიაზე,—სწორეთ რომ ანიამოვნებს, გააგებინებს და აგრძნობინებს თვით მსმენელსაც. როგორ კარგათ ლაპარაკობენ ესენი ყველაფერზე, რაც კი იპოება კლასში, გარეთ შკოლაში, ბაღში, ბოსტანში, სოფელში, სახლის ეზოში, შიგ სახლში, ფრინველებზე, შინაურ და გარეულ ცხოველებზე, ამ ცხოველების და ფრინველების სარგებლობაზე და ვნებაზე და სხვ., უკანასკნელათ, რომ ისიც ნახოთ—როგორ მშვენიერათ, მარდათ და სწორი გამოთქმით გელაპარაკებიან რუსულათ ეს ორი წლის ნასწავლი გლეხის ბიჭები და ამასთან—როგორ სწერაავენ და კითხულობენ დაწერილს, სწორეთ რომ გაგიკვირდებათ და აღტაცებულნი იტყვით—„ აი სასწავლებელი, რომელიც მართლა რომ სწორ და მკვიდრ გზაზე დაყენებულიაო!“

რა ღირსება გინდა, რომ არ მოიპოებოდეს ამ შკოლაში:—ხალხის სიყვარული და პატივის ცემა შკოლისადმი, შაგირდების წესიერათ შკოლაში სიარული, ხალისი ყველა საქმისადმი, შრომის მოყვარეობა, გულკეთილობა, ცოდნა, ზრუნვა საზოგადო კეთილ-დღეობისათვის და ერთი სიტყვით ყველაფერი—რაც შაგირდსა ჰხდის შაგირდათა და კაცსა ჰხდის კაცათა.

ეს ერთი სასწავლებელი ავსწერეთ.

×

ახლა წარმოითდგინეთ მეორე სასწავლებელი, რომელიც არსებობს იმ გვარსავე ხალხში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს შკოლა ეკუთვნის ერთ საზოგადოებას“.

ამ სასწავლებელშიაც არის ორი მასწავლებელი—ერთი თვით მასწავლებელი და მეორე მისი თანაშემწე. მოსწავლენი წმინდა ქართველები არიან, აგრეთვე მასწავლებელნიც. ამ სასწავლებელსაც აქვს იმისთანა მშვენიერი და ფართო შკოლის შენობა და მიწა-წყალი, როგორიც აქვს ზემოთ აღწერილ სასწავლებელს. მაგრამ, როგორი დიდი განსხვავებაა ამ ორ სასწავლებელს შუა?!

პირველსავე შკოლის საკუთრებაში შესვლისთანავე სჩანს ამ საკუთრების ზედამხედველის უცოდინარობა, უმიზნობა. ამოტელა მიწა-წყალში მხოლოდ აქა-იქა ჩაყრილია ათიოდე ხე, ესენიც როგორები? დანარჩენი მიწა კი მოჭედილია უბრალო ბალახ-ბულახებით და ჯაგებით. არის აგრეთვე შკოლასთან ახლო ერთი უხეირო გიმნასტიკა და მეტი აღარაფერი.

საზოგადოთ ამ შკოლის გარეგანი მოწყობა იგრე მცირე და საწყალურია, რომ თვალი ვერაფერს ვერა ჰხედავს, რომ დააკვირდეს და გულ—გაახაროს. აგრეთვე კლასებში: არც ის სურათებია, რომლებსაც ზემოთქმულ სასწავლებელში უჭირავს უპირველესი ადგილი, არც ის სხვა და სხვა, ჩვენი და უცხო ქვეყნების ცხოველებისა, ფრინველებისა და მწერების სურათებია, რადგანაც აქ უცხო ენაზედ სწავლისა გამო ვერ იცლიან, ანუ უკეთ ვსთქვათ შეუძლებელია ყველაფერი ამაების შესწავლა, და თუ არის, ისინიც ეგრე ხელ-უხლებელათ და უსარგებლოთ ყრიან. ამ შკოლაში იშოვნით მხოლოდ ბევრ ქაღალდსა, უცხო ენაზე წერვისათვის, ბევრ უცხო წიგნებსა და სხვ. რაღა ბევრი გავაგრძელო, საზოგადოთ მთელი შკოლა წარმოგვიდგენს რაღაც მივარდნილ, მიძინებულ, უფერო ადგილს, სადაც ტვინს არაფერი აფხიზლებს და გულს არაფერი ახალისებს!

სამწუხაროთ, ზემოხსენებული პედაგოგიის მოთხოვნილება აქ სრულდება სრულებით პირიქით: ე. ი. აქ იმის მაგიერათ, რომ სასწავლო საგნების გარდაცემა მიდიოდეს ბავშვებისათვის უუახლოეს და უუადვილეს ენაზე—სამშობლო ენაზე, აქ მთელი ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში სწავლა მიდის ბავშვებისათვის სრულებით მიუწდომელ და გაუგებარ ენაზე.

×

როდესაც პედაგოგია გვეუბნება, რომ ვიწყოთ სწავლა ბავშვების სამშობლო ენაზე, ის ამითვე მიგვითითებს კიდენ ერთ საზოგადო თავის მოთხოვნილებაზე, რომელსაც სამწუხაროთ სრულებით ყურს არ უკდებენ ჩვენი შკოლების მოთავენი და მმართველნი. ეს მისი საზოგადო მოთხოვნილება გახლავს შემდეგი:

— სხვა და სხვა სასწავლო საგნების გარდაცემა რომელიმე უცხო ენაზე მხოლოდ მაშინ არის საფუძვლიანი, დამყარებული პედაგოგიაზე, ოდესაც მოწაფეებმა კარგათ შეისწავლეს ის უცხო ენა, რომელზედაც ჰსურთ ამ სხვა და სხვა საგნების გარდაცემა.

აქ რაღას ეხედავთ?—შესვლისთანავე ყოველ სწავლას ბავშვს გარდასცემენ ჯერ კიდენ მისთვის სრულებით გაუგებარ ენაზე! ეს არის მიზეზი, რომ აქ ვერც ერთ ენაზე, ამ ორის წლის განმავლობაში, ყმაწვილები კარგათ ვერც კითხულობენ, ვერც სწერენ, ვერც გადმოგცემენ წაკითხულსა, ვერც გესაუბრებიან რომელსამე სტატიაზე ატეხილ ლაპარაკში. ამათ არც იციან იმდენი, რაც ზემოთქმულ სასწავლებელში იყო შესწავლული სამშობლო ენაზე, რადგან აქ შეუსწავლიათ უცხო ენაზედ. ამ ორის წლის განმავლობაში ამათ როგორც იყო, ერთი ვაი-ვაგლახით და დამტვრეულ-დამახინჯებული ენით შეი წავლეს ორიოდე ლოცვები და მეტი არაფერი. ვერც არითმეტიკიდამ იციან კარგათ.

საზოგადოთ თქვენ აქ ცხადათა ჰხედავთ, რომ ყმაწლილებში ჭკუაგონება იგრე მარდათ და დაკვირვებით არ მუშაობს, როგორც პირველ სასწავლებელში. ვერ გებაასებიან ამ შკოლის შაგირდები ვერცერთ მწერის, ფრინველის, ნადირის სარგებლობაზე და ვნებაზე.

მაგრამ, ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ უპირველესი მიზანი ამ შკოლისა, რომელზედაც ის იკლავს თავსა და რომლისთვისაც არაფერს არც სიბეჯითეს, არც ყოველ-გვარ სახსარს, არც ხარჯს არ ჰზოგავს,—რუსული ენის კარგათ შეჰსწავლა—დიდათ დაბლა სდგას, ვიდრე პირველს შკოლაში. იმ დროს, როდესაც პირველ სასწავლებელში ყმაწვილები გელაპარაკებიან თქვენ წმინდა რუსული ენით, აქ რამოდენიმე ლოცვის მეტი დამტვრეული რუსული ენით და ამავე დამტვრეული ენით რუსული წერა-კითხვის მეტი არაფერი იციან.

უკანასკნელად ყურადღების ღირსია ხალხის უპატივცემულობა ამ შკოლისადმი, არა იმისთვის, რომ ამ შკოლაში არ ასწავლიან ქართულ ენაზედ,—ამისი მას ბევრი არაფერი ესმის,—არამედ იმიტომ, რომ ამ შკოლის ყმაწვილებმა არაფერი არ იციან სოფლის ხალხისა და ცხოვრებისა. ამას გარდა შაგირდების არა წესიერათ შკოლაში სიარული, უხალისობა ყველა საქმისადმი, ზარმაცობა, უსაქმობა, უცოდინარობა კეთილისა და თვისი ცხოვრების მიზნისა და ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც შაგირდსა ჰხდის კერპათ და კაცსა ჰხდის უმეცრათ!

პარტიზანი

ბორჯომი, 12 მაისს

წერილები

უფ. რედაქტორო!

გაზეთ „იბერიაში“ (იხილე № 10) დაბეჭდილია „საქართველოს მატიანე:“ „ვიცინოთ თუ ვიტიროთ“—ბორჯომში ახლად დაწესებულს საოსტატო სემინარიაზე და სხვათა შორის იმავე სემინარიას დაეწყის ქართულს საწავლებელზე. დასარწმუნებლათ მისისა, რომელ ზემოხსენებული მოთხრობა არის ცრუ-მეტყველობა უფ. ავტორისა, გთხოვთ უმორჩილესად, უფ. რედაქტორო, მისცეთ ალაგი აქ მოკლე წერილსა თქვენდამი გამოცემულს გაზეთში:

მე ძალიან შორსა ვარ, უფ. რედაქტორო, ტყუილათ ქება შევასხა ჩემს ცოდნას ყმაწვილების პირველ სწავლაში. ყოველ საქმეს ა ვ ი რგვინებს მისი ბოლო.

მაგრამ არა არის რა ისეთი შემარცხვენელი კაცისათვის, როდესაც ის სჯის საგანზედ, რომელიც მას არ ეყურება, და მომეტებული უფრო არა არის რა ისეთი შემაძრწუნებელი და საზიზღარი მასმენელისათვის, როდესაც კაცი სჯის კაცზედ და მის მოქმედებაზედ, ოდესაც მას არც თვალით უნახამს ეს კაცი და მისი მოქმედება და არც თვით საკუთარის ყურით გაუგონია მისი სჯა ამ მოქმედებაზედ. უნდა გაგიტყდეთ, რომ სწორეთ ამისთანა კაცებთაგანს ეკუთვნის ზემოხსენებულის სტატიის, ანუ უკეთ შენიშვნის, ავტორი. ფრიად მიკვირს უცერემონიობა მისი, რომელმაც ასე თავგამოდებით და ამაყათ გაბედა სჯა იმ სასწავლებელზედ, რომელიც არამც თუ მას, არამედ სხვასაც-კი, გარდა თვით სემინარიის მასწავლებლებისა, არ უნახამთ ჩემი მოქმედება შესახებ პირველ დაწყებითის სწავლისა, თუ ან როგორ ვიწყობ და რომელს ენაზედ. რაც განსხნილა ჩემი შკოლა, ვიდრე აქამომდინ, არავინ ყოფილა ჩემს სასწავლებელში —არც გარეშე პირი და არც აქაური ბორჯომის გარეშე სასწავლებლების მასწავლებელნი. ერთხელ მაინც მოსულიყო ვინმე განგებ, მაშინ კიდევ დავიჯერებდი, რომ ჰო! და ნახეს, და ალბათ არ გასჯდომიათ მეთქი თავში ჩემი მეთოდები!

მაგრამ უფ. ავტორი მაგას არა ფიქრობს. ისან არც კი იცის, რომ ჩემმა ყმაწვილებმა იციან წერა-კითხვა და სიმღერაცა, თუ-ცა რვა თვე არის მარტო რაც დავაწყებინე სწავლა და სულ ყველანი უცნობნი იყვნენ წერა-კითხვისა. უფ. ავტორი კი წინააღმდეგ ამისა არწმუნებს მკითხველთა, რომ ქართულს სულ არ ასწავლიანო. მოდი და დაუჯერე გაუჯერასა? ერთი კითხეთ უფ. ავტორს: მაშ საიდგან იციან-თქო ქართული წერა-კითხვა, თუ სულ არ ასწავლიან?

ჩემი მოქმედება უნდა განსჯას იმისთანა კაცმა, ვინც არის მიუდგომელი, და ვისაც მასთანვე კარგათ ესმის ეხლანდელი დროს ყმაწვილების სწავლა, და არა ვიღაც უფ. „საქართველოს მემატიანემ“, რომელშიაც არც არა რამე ნაპერწკალის ოდენი... იპოება, და არც არა

---

*) „დროება“, № 58.

ესმის რა, როგორათაც სჩანს მისის მოთხრობიდგან, გარდა ქუჩის ბიჭურის ენით ლანძღვისა. მე სრულებით ყურს არ ვათხოვებდი „Ицрии“ მემატიანეს, უკეთუ საზიზღარად არ ეხედამდე ამ საქმესა, რომ ზოგი ერთ ცრუ, ბოროტ მოქმედთა და ტვინმლერალ პირთ შეუძლიანთ დაანახონ და დაარწმუნონ რომელიმე მკითხველნი (თუმცა უკანასკნელი არ მჯერა) წინაალმდეგშია.

მერწმუნეთ, უფ. ავტორო, რომ იქნება ჩვენ უფრო ვიცოდეთ თუ როგორ სჯობს სწავლა ყმაწვილებისათვის. Იქნება ავტორი სწუხს იმისათვის, რომ რვა თვეში ყმაწვილები არა კითხულობენ „Акция-Адамианს“ და არ არიან გავარჯიშებულნი ქართულ ლიტერატურაში? Იქონიეთ მოთმინება! Იქნება ლიტერატურა კი არა და „Ბუნების Ალარს“ კი კარგათ გარკვევით კითხულობდნენ და არჩევდნენ ლოგიკურათაცა და გრამმატიკულათაც. Ან იქნება იმაზედ ბრაზდებოდეს „საქართველოს მემატიანე“, თუ რატომ ამ 8½ თვის განმავლობაში ჩემს შეგირდებს წინ არ უდევთ „Акция-Адамианი“ და ლუარსაბის და Ჯარეჯანის ანბებით თავს არ იხეთქენ? მაგრამ გაგიტყდებით ეხლავე, რომ მე ვერ შემიძლიან დათანახმება ამ ნაირ პედაგოგიურს ჰაზრზედ. და თუ უფ. ავტორი შეიძლებს ამის ასრულებასა, მაშინ მე უკან ჩამოვდგები და გამარჯვების ტაშს დაუკრამ!...

მე აი რა ვაკეთე ამ 8½ თვის განმამავლობაში: პირველ განყოფილებაში იციან ქართული წარა-კითხვა, „Дедаენა“, იციან ზეპირათ მოკლე მოთხრობები, ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანაები და სხვ; იციან თვლა 1-გან ვიდრე 20-დინ ბრუბეს მეთოდით; იციან ცოცხლად აღწერა ნივთებისა და ცხოველებისა (наглядное обученіе); ისწავლეს ხატვა, რაც ეკუთვნის ამ მოკლე ხანს, ძალიან კარგათ; გალობენ სიმღერებს ქართულათ და რუსულათ; კვირაში ერთხელ აქვთ გემნასტიკური თამაშობა. Ამასთანვე ისწავლეს წერა-კითხვა და რაც შეიძლებოდა რუსული ლაპარაკი. Აი ეს გახლავთ, ნაყოფი ჩემი შრომისა. Როგორ ფიქრობთ: მართლა სულ გამოკლულა ქართული ენა ჩემის პროგრამმიდგან, თუ უფ. „საქართველოს მემატიანეს“ ავტორს მოსიზმრია ესე?

რაც შეეხება რუსულს ენას, რა არის საკვირველი მასში, რომ მთავრობისაგან დაწესებულს შკოლაში რუსულს ასწავლიდნენ? გარდა ამისა ეს შეგირდები ემზადებიან სხვა შკოლებისათვის, სადაც ძალიან საჭიროა რუსული ენა. Აბა რა უსამართლობა მოხდენილა ისეთი, რომ ისე გაბრაზებულა ჩვენი „საქართველოს მემატიანეს“ ავტორი, რომ არ იცის თუ რა ქნას: Იკინოს თუ იტიროს? Ორსავ ურჩევთ უფ. „მატიანეს“ დამწერსა რადგან, ერთის რომელისამე ბრძენის ჰაზრით, სიცილი არის არა სრული ჭკოვანისა, ხოლო ტირილი ხალხის შეხედულობით შეჰფერის გულჩვილს თმაგრძელას.

Განა ჰეშვენის პატიოსანს მემატიანეს აგრე უშვიერის პირით ლანძღვა, როგორც იდანძღება უფ. ავტორი? მკითხველი დამერწმუნება მაზედ, რომ ვიაც სხვის დარიგება უნდა, თითონ ბევრიც უნდა იცოდეს და ბევრიც უნდა ესმოდეს და მის დარიგებასა და შენიშვნასაცა უნდა შვრებოდეს ხერხიო, უაჩქარებლობითა და სიყვარულითა.

Ახლა ჩემი ანბანი. Ჩემს ანბანს ჯერ შინჯვენ Კავკასის სამასწავლო მაზრის რჩევაში. Თუ რჩევა დაინახავს იმ ანბანა სასარგებლოთ, მაშინ დაიეჭდება. Სინამ ის ანბანი არის დაუბეჭდავი, ვგონებ, არავის აქვს ნება ილაპარაკოს. Წიგნი არის საზოგადოს კუთნილობა მხოლოთ მაშინ, როდესაც ივი დაიბეჭდება, გამოვა ქვეყანაში. Ეხლა კი ფრიად უჯიშობა მოზდის უფ. ავტორს მასზედ, რომ ლაპარაკობს—თუ როგორ არის შეადგენილი, რა მნიშვნელობა აქვს, ვისთვის არის დაწერილი და სხვა? Არა განათლებულ ქვეყანაში არ მოხდება ეგრეთი უჯიშობა, როგორც მოუვიდა უფ. ავტორს.

Კიდევ სიცრუე უფ. „მემატიანესი“. Იკი იწერება ვითომც უფროსს განყოფილებაში სრულებით (ჩემს კლასსში) არ ისმის ქართული ენაო. Სტყუით, უფ. ავტორო! Ამ განყოფილებაში არის სულ 12 ყმაწვილი, ამათში: ქართველი 3, რუსი 4 და დანარჩენი სომხები არიან. Არამც თუ ქართველებმა, რუსებმაც და სომხებმაც ისწავლეს ქართული წერა-კითხვა.

Აი ჩემი ნამოქმედარი ამ 8½ თვეში. Დასარწმუნებლათ ჩემდა თქმულისა უწოდ ყველა მკითხველს, მოგბრძანდეს და გაშინჯოს ჩემდამი მიმყოლი შკოლა, რომლითაც დიდათ მოხარული დავრჩები. Ვთხოვთ თვით უფ. „საქართველოს მატიანეს“ ავტორსაც, ან თვით მოგბრძანდეს და ან სხვას მიანდოს ვისმე იმისთანა პირს, რომელსაც ესმის ეხლანდელი ყმაწვილების სწავლა, მოგბრძანდეს ჩემს შკოლაში და გაიგოს ჩემი ნამდვილი მოქმედება და ცრუ ანბით კი ნუ შეიყვანს საზოგადოებას და თავის თავს მოტყუებაში.

Ზორის საოსტატო სემინარიის დასაწყის ქართულ შკოლის მასწავლებელი Ფ. ნათიევი

Ზორი, 25 მაისს

განცხადებანი

ისყიდება დიდი ზვარი მუხრანის ახლო სოფ. დამკალოში ვისაც ყიდვა სურს. შეუძლია დაწვრილებით შეიტყოს „კავკაზის“ სასტუმროში, № 46, დილის 11 საათამდინ.

ქარით მიეცემა ქვრივი ღენერალ Ეაძეს სახლში ქუთაისში ქოჩუბეის ქუჩაში ზემო ეტაჟაში ათი კარგი ოთახი თავის ძოწყობილობით. Თუ ისურვებს ვინმე შეიძლება მთელი სახლი სრულებით ერთათ მიეცეს, ესე იგი ზეითი და ქვეითი ეტაჟი. Ამ სახლს ეზოში ბაღჩაც აქვს.

3 – 2

თფილისის პირუტყვთა მფარველის საზოგადოების გამგეობა

სთხოვს ამ საზოგადოების დამწესებლებს და აგრეთვე ყველას, ვისაც საზოგადოების წევრობა ჰსურს, საწევრო ფული წარუდგინონ საზოგადოების ხაზინადარს უფ. სერგეევს, რომელიც იმყოფება ყოველ დღე თფილისის საურთიერთო კრედიტის ბანკში დილის 9½ საათიდამ ვიდრე დღევის 1½ საათამდინ.

მისის იმპერატორებითის უმაღლესობის Კავკასიის ნამესტნიკის ხსენებულის საზოგადოებას უავგუსტოესის მფარველისაგან დამტკიცებულის წესდებით, ნამდვილმა წევრმა უნდა შეიტანოს ყოველ წელიწადს 3 მანეთი ანუ ერთხელ 30 მან., საპატო წევრმა ერთხელ 300 მან. Ყოველ წევრს, რომელიც ერთად 30 მანეთს შეიტანს საზოგადოების ხაზინაში, უფლება აქვს მიიღოს და დაიკიდოს განსაკუთრებული ნიშანი (მედალი).

Ვისაც ჰსურს უფრო გარკვეული და დაწვრილებული ცნობები შიიღოს ამ საზოგადოებაზე ან რაიმე წინადადება შეიტანოს, შეუძლიან მიმართოს საზოგადოების სეკრეტარს უფ. Ტრესკოვსკის, რომელიც ორშაბათობითა და ხუთშაბათობით (10½ დამ 2 საათამდინ) იმყოფება—ცხენების ქარხნის გამგეობის სახლში (ბოლოვინის პროსპექტზე, სარაჯოვის სახლებში), სადაც არის აგრეთვე ამ საზოგადოების გამგეობაცა.

(3 – 2)

„კეკეთი“

ამ დღეებში გაიხსნა სარძეო სარდაფი „კეკეთი“, სადაც ყოველ დღე ისყიდება: კარაქი, ნაღები, სმეტანა, ტვოროგი, ყველი, უდუღარი და აღუღებული რძე და მაწონი.—

Ამ ზაფხულს მსურველთ ქალაქ-ორმიაც შეუძლიანთ მოითხოვონ ყველაფერი ის, რაც აქ, ქალაქის სარდაფში, ისყიდება. მხოლოდ საჭიროა, რომ დაჩნიკებმა წინ და წინ გამოაცხადონ სარძეო სარდაფში თავის სურვილი, რომ დანიშნულ დროს სახლზე მიუვიდესთ.

Სარძეო სარდაფი „კეკეთი“ იმყოფება: სასახლის ქუჩაზე, მუზეუმის პირდაპირ, შაბუროვის სახლებში, სადაც უწინ Იკანოვის ბიბლიოთეკა იყო.

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის პუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

Იმეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, როგორ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

Კანს ეკერება და არა სჩანს.

Ш. Ф а и — გამომგონი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვიაც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—137

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
Თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა . .	10	11	6	27	-	68		38
ზორი . .	11	58	9	43	2	40	1	23
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
Უვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	47			6	75	3	75
სამტრედია .	7	41			7	73	4	29
Ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
Ფოთი. . .	9	40			9	75	5	42
Ფოთი . .	9	13						
Ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	11	16			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
Უკირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ზორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
Თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) Ფოთიდამ მიდის:

Ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) Ოდესსიდამ:

Ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

Ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
Ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
Ოცი სიტყვა Თფილისიდამ:		
ქუთაისს, Ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს Ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ბოსპალეთში, შვეიცარიაში	3	—
Იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
Ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) Თფილისიდამ:

Სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდ. ზუგდიდს., Ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაბ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

Თფილისისა და Ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. Ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

Ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

Ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ
Ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

	მან.	კაპ
პეტერბურგი, 26 მაისს		
Ერთი მანეთი ლირს:		
ლონდონში 3½ პენსი.	—	78
პარიჟში 268 სანტიმი.	—	51
ესკონტი (სარგებლისფასი)	7½	
ბანკის ბილეთი 5%	96	-
მოგებიანი (პირველისესხი)	201	
მოგებიანი (მეორე ესესხი)	192	50
ბირაოს ფურცლები:		
Თფილ. საბან. ბანკისა.	—	--
ხერსონის ბანკის (5½)	81	—
მოსკოვის (5%). . . .	90	50
აქციები:		
Ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
Ფოთი-Თფილ. რკინ. გზის	—	—
შავი ზღვის ცეცხ. გემების	465	—
კავკაზის და მერკურის. .	202	—
პირვ. საზღვეგ. საზოგ.	715	50
პეტერბ. საზღვეგ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვეგ. საზ.	265	—

მაზანდა

	მან	კაპ.
Თფილისი, 28 მაისს		
ფქვ. თეთ ბრინჯისა, ფუთ.	1	30
ფქვილი წითელი. . .	1	10
ქეიი ფუთი. . . .	—	65
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	70
—Ამერიკისა, ფუთი. .	6	80
ბაპინტილი ბამბა ფუთ	7	30
მატყლი თუშური ფუთ .	—	—
—Თარაქამისა ფუ. .	3	80
Აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქობი, ფუთი. . .	6	—
ქინის საბთელი ფუთი.	6	—
სტეარინის საბთელი, ფ.	12	—
ხორცი ძროხისა. ლიტ.	—	72
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	72
სპირტი, ვედრო. . .	—	—
შაქარი, ბროც. ფუთი .	8	20
— ფხვნილი ფუთი . .	7	20
Ყავა გრგვალი, ფუთი .	28	—
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	7	—
Ოქრო ½ იმპერიალი. .	7	70

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Мая 1877 г. Типографія Меликова

გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.